შეთანხმებულია
შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება „მჭევრის“
დამუკიდებელი ბიზნეს სკოლის
დამფუძნებლებთან.
2025 წლის 9 სექტემბრის კრების
ოქმი №47

დამტკიცებულია
შ.პ.ს. „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს
სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ
2025 წლის 9 სექტემბრის
ოქმი № 3

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

2025 წ

სკოლის მისია

შ.პ.ს. „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის მისიაა მოამზადოს განათლებული ახალგაზრდა ლიდერები, რომელთაც შეეძლებათ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თავიანთი ინტელექტუალური პოტენციალის თვითრეალიზება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესებში წარმატებულად მონაწილეობა.

სკოლის ხედვა:

სკოლა ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო გარემოს, ცდილობს გამოიყენოს და განავითაროს ქვეყნის მცირერიცხოვანი მოსახლეობის ძირითადი სიმდიდრე - ინტელექტუალური რესურსი. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს საშუალება მათი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისა და არა თვითმიზანი. სკოლას სურს, რომ მომავალი ინტელექტუალური ელიტის მთავარი საზრუნავი იყოს ადამიანი, მისი პოტენციალის ზრდა, ისეთი საზოგადოების აშენება, რომელშიც ნებისმიერ მოქალაქეს ექნება სრულფასოვანი, ხარისხიანი განათლების მიღების, ჯანმრთელობის დაცვისა და არჩევანის გაკეთების მაქსიმალური თავისუფლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბიზნეს სკოლა აქტიურად ზრუნავს, მოამზადოს ახალგარდა ლიდერები სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში წარმატებული მოღვაწეობისათვის. მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების პირობებშია შესაძლებელი დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირება. სკოლის საქმიანობა ასევე ემსახურება მომავალ თაობებში პატრიოტული გრძნობებისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას, სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, პიროვნების პატივისცემასა და ა.შ.

ბიზნეს სკოლის გრძელვადიანი მიზნები უკავშირდება ახალგაზრდა ლიდერების მომზადებას, რომლებსაც შეეძლებათ წარმატებით მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში. ეს ამბიციური, მაგრამ რეალისტური ამოცანაა, თუ კი გავითვალისწინებთ ბიზნეს სკოლის რესურსებს, მის ტრადიციებს, მოსწავლეებისა და მათი მშობლების სურვილებსა და მზაობას, სასკოლო სასწავლო გეგმის სპეციფიკურობასა და გამოცდილ პედაგოგიურ კადრებს.

შესაბამისად, ბიზნეს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები მდგომარეობს შემდეგში: შევინარჩუნოთ სკოლის საუკეთესო ტრადიციები და გავაძლიეროთ ის ახალი იდეებითა და ინოვაციური მეთოდებით. სკოლა ცდილობს ჰუმანიტარული, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლისათვის მოტივირებულ და სათანადო მზაობის მქონე მოსწავლეებს შეუქმნას შესაბამისი სასწავლო გარემო და საბოლოო ჯამში, ამით უზრუნველყოს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე სამეცნიერო წრეების, შრომის ბაზრისა და ეკონომიკური განვითარების მოთხოვნის შესაფერისი ინტელექტუალური კადრების მომზადება.

შესავალი

შ.პ.ს. „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის 2025-2026 სასკოლო სასწავლო წლის გეგმა შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მესამე თაობის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც სკოლაში ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება.

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაზიარებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას:

- საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მიღწეული შედეგი;
- გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები;
- შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას, მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით;

ბიზნეს სკოლის მენეჯმენტი უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის სრული ვერსიის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის (სკოლის ვებგვერდის, ბიბლიოთეკისა და კლასის დამრიგებლის საშუალებით) არაუგვიანეს სასწავლო წლის დაწყებიდან პირველი კვირის ბოლომდე.

მნიშვნელოვანი ასპექტები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს სკოლის საათობრივ დატვირთვას. სკოლის საათობრივ ბადეში ქართული ენის, მათემატიკისა და ინგლისური ენისათვის საათების დამატებით; 2025-2026 სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და დამტკიცებულია პედსაბჭოს მიერ, სკოლის მენეჯმენტის მონაწილეობით და სკოლის დამფუძნებლებთან შეთანხმებით.
- **სკოლის კომპიუტერიზაციის პროგრამის ფარგლებში გაიზარდა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართვის ხარისხი სასწავლო პროცესში. მოსწავლეებში ამ ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება დაგეგმილია I-VI კლასებში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულის გარდა დამატებით ფაკულტატური სწავლების გზით VII-XII კლასებშიც.**
- 2025-2026 სასწავლო წელს IX და XI კლასების მოსწავლეებისათვის წარიმართება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები, რომელიც ასახულია კლასის დამრიგებელთა საღმზრდელო-სადამრიგებლო გეგმებში.
- 2025-2026 სასწავლო წელს ნებაყოფლობითი ფაკულტატურული სწავლების ფარგლებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ საგნობრივ პროგრამებს: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (VII – XI კლასებში) , ეთიკას (VI-VIII კლასებში), გერმანულ ენას (VIII – XI კლასებში) და ბიზნესის საფუძვლებს (VII – XI კლასებში). ამ პროგრამით სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების წარმატებით მიღწევას.

I სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები

1. ზოგადი განათლება სკოლაში იყოფა სამ საფეხურად: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებად. დაწყებითი საფეხური გულისხმობს I-VI კლასებს, საბაზო საფეხური გულისხმობს VII-X კლასებს, ხოლო საშუალო XI-XII კლასებს.

1.1. დაწყებითი საფეხურის მისიაა:

ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

1.2. საბაზო საფეხურის მისიაა: საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

1.3. საშუალო საფეხურის მისიაა:

ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;

ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

2. სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები:

2.1. სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პრობლემების გადაჭრა	პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება; პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა.
კრიტიკული აზროვნება	ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება; არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით; გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.
შემოქმედებითი აზროვნება	ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება;

	სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად(მაგ., ლიდერის); განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
კომუნიკაცია	განცდილის, ნააზრევის მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი; პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი.
ეთიკა	ეთიკური ნორმების დაცვა; სოლიდარობის განცდა; ემპათია; განსხვავებულობის მიმღებლობა; საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით; მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება; მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
კვლევა	კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა	აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; აქტივობის/დავალების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; სოციოემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.
პასუხისმგებლობა	სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	ქსელური ძიება; ინფორმაციის გავრცელება; ელექტრონული რესურსის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში.
წიგნიერება	ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

2.2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, სკოლის სასწავლო გეგმა ასევე გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს:

ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

ბ) გარემოს დაცვა;

გ) ჯანსაღი ცხოვრება;

დ) სამოქალაქო უსაფრთხოება;

ე) კონფლიქტების მართვა;

დ) ფინანსური წიგნიერება;

ე) კულტურული მრავალფეროვნება.

3. კალენდარი

3.1. 2025-2026 სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები (**დანართი N 1, იხილეთ დოკუმენტებში**).

3.2. სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღები და არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონმდებლობითა და სკოლის შინაგანაწესით. კერძოდ, სასწავლო პროცესი პირველ სემესტრში იწყება 2025 წლის 15 სექტემბერს და მთავრდება 29 დეკემბერს. მეორე სემესტრი იწყება 2026 წლის 20 იანვარს და მთავრდება 15 ივნისს. მეთორმეტე და პირველი კლასებისათვის სასწავლო პროცესი წყდება 2026 წლის 20 და 29 მაისს.

3.3. სასწავლო კვირა ხუთდღიანია.

3.4. გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 40 წუთით. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ), როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა სასწავლო პროცესის დროის შემცირების მიზნით, ანდა პანდემიის დროს სკოლა გადავიდეს ონლაინ სწავლებაზე (სპეციალური საგაკვეთილო ცხრილით).

3.5. გაკვეთილებს შორის ერთი შესვენების ხანგრძლივობა განისაზღვროს 10 წუთით. დანარჩენი შესვენებების ხანგრძლივობა 5 წუთით (**დანართი N 2**);

4. მოსწავლეთა რაოდენობა

4.1. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 16 მოსწავლით.

4.2. 2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში სასკოლო რესურსის შესაბამისად დაკომპლექტდა 11 კლასი. (**დანართი N3**).

5. სასკოლო საათობრივი ბადე

5.1. სასკოლო საათობრივი ბადე მოიცავს თითოეული კლასის მიხედვით სავალდებულო გაკვეთილების განრიგს. სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით შექმნილია გაკვეთილების ცხრილი, რომელიც აზუსტებს, თუ კვირის რომელ დღეს და დროის მონაკვეთში, რომელი საგანი ისწავლება. მითითებულია საგნის მასწავლებელი. (**დანართი N4, იხილეთ დოკუმენტებში**)

5.2. სკოლა კომპიუტერების გამოყენების საბაზისო უნარ-ჩვევების შესასწავლად აგრძელებს ფაკულტატურ საგანს - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლებას, რომელიც მიმდინარეობს I-XI კლასების მოსწავლეთათვის. ინფორმატიკის გაკვეთილები ყველა წესის დაცვით აღინიშნება სასკოლო საათობრივ ბადეში.

5.3. სასკოლო საათობრივი ბადე შედგენილია სკოლის საათობრივი ბადის შესაბამისად (დანართი N 5).

5.4. სასკოლო გაკვეთილების ცხრილი, მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამების ფარგლებში სასწავლო დისციპლინების დაზუსტებულ მეცადინეობების განრიგს, ცხრილში ფიქსირებულია, თუ კვირის რომელ დღეს, რომელ სამეცადინო ჯგუფში რომელი პროგრამით მიმდინარეობს სწავლება.

6. ბიზნეს სკოლის საერთო კულტურა

6.1. სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს:

ა) ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას.

ბ) შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების წევრებისთვის.

გ) ორგანიზება გაუწიოს სპორტულ, სახელოვნებო, საკლუბო აქტივობებსა და სასკოლო პროექტებს, რომლებშიც სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლებიც იქნებიან ჩართულნი.

7. საგნობრივი კათედრები

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი ჯგუფების შვიდი კათედრა.

მათ შორის:

1. დაწყებითი საფეხურის კათედრა - თავმჯდომარე ნანა ქუთელია;
2. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა - თავ-რე ია ჩიხლაძე;
3. მათემატიკის, ჭადრაკის, ისტ–ისა და ბიზნესის კათედრა - თავ-რე ხათუნა არჩვაძე;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა - თავ-რე ირინე ბოკერია;
5. საზოგადოებრივი მეცნიეერებების კათედრა - თავ-რე მაკა კოშაძე;
6. უცხო ენების კათედრა - თავ-რე ცირა კეჟერაშვილი;
7. ესთეტიკური აღზრდ ისა და სპორტის კათედრა - თავ-რე ნატო გოგატიშვილი;

საგნობრივი კათედრები აერთიანებს სკოლის ყველა მასწავლებელს. თითოეული კათედრის ფუნქციებია:

ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;

ბ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

გ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;

დ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);

ე) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;

ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;

ზ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;

თ) სკოლის გენერალური მენეჯერისთვის მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრის წარდგენა

ი) საგნებში სემესტრული და წლიური სასკოლო შემაჯამებლებისთვის ვარიანტების შემუშავება და წარდგენა სკოლის მენეჯმენტში;

კ) სკოლის საათობრივი ბადის შესაბამისად, საგნებში სასწავლო საათების განაწილება კათედრის პედაგოგებს შორის კლასების მიხედვით **(დანართი N 6);**

ლ) საგნებში ვაკანტურ თანამდებობაზე პედაგოგების მისაღებად სასკოლო საკონკურსო კომისიაში წარმომადგენლების გამოყოფა;

მ) პერიოდულად სკოლაში საგნების სწავლების მდგომარეობის შესწავლა და დასკვნების მომზადება;

ნ) სკოლის მენეჯმენტთან ერთად მონაწილეობის მიღება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში მისი პედაგოგიურ საბჭოში წარდგენისა და დამტკიცების მიზნით;

ყველა კათედრა იკრიბება სასწავლო წლის დასაწყისშივე და ირჩევს კათედრის თავჯდომარეს ერთი სასწავლო წლის ვადით (ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ).

განიხილება სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამები და არჩეული სახელმძღვანელოები, წლის განმავლობაში მასწავლებლების საგნობრივი კურიკულუმები, რა პრობლემების გადაჭრა იქნება აუცილებელი, რა რესურსების გამოყენება იქნება საჭირო ეფექტურად სწავლებისას და ა.შ.

თითოეულ სემესტრში მინიმუმ ორჯერ მაინც რეგულარულად შეიკრიბებიან კათედრის წევრები. ყველა კათედრაზე განიხილება საგანმანათლებლო სტანდარტის და კურიკულუმების შესრულების მიმდინარეობა, უნდა მოხდეს პრობლემების გამოვლენა და შეფასება, განისაზღვროს, თუ როგორი ხარისხით იქნება შესაძლებელი ყველა მოსწავლისთვის საგნობრივ პროგრამებში შედეგების მიღწევა.

საგნობრივი კათედრების წევრთა შეკრება აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება ჩატარდეს საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ ნებისმიერ დროს.

კათედრის თავჯდომარის ფუნქციებია:

- რეგულარული შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და საბუთების წარმოება-შენახვა);
- სკოლის მართვის ორგანოებისათვის კათედრის სხდომის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებათა მიწოდება;

- პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო ღონისძიებების (ტრენინგების, კონფერენციების და სხვა) ორგანიზება და მოწყობა.

8. სადამრიგებლო პროგრამა

8.1. 2025-2026 სასწავლო წელს ბიზნეს სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელიც ასევე გახლავთ ამავე სკოლის პედაგოგი **(იხ. დანართი N 7).**

8.2. დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში; დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

8.3. დამრიგებლის მოვალეობებია:

ა) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.); სასწავლო წლის დასაწყისშივე მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ;

ბ) რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი; სადამრიგებლო სათის მიზანია, მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე:

ბ.ა) პიროვნული და მორალური განვითარება;

ბ.ბ) გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება;

ბ.გ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;

ბ.დ) უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;

ბ.ე) მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;

ბ.ვ) თვალსაწიერის გაფართოება.

ბ[1]) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიმართულებების ფარგლებში დაწყებით კლასებში (I-IV კლასები) არანაკლებ კვირაში ერთხელ ჩაატაროს კითხვის საათი, რომელიც ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:

ბ[1].ა) კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;

ბ[1].ბ) წაკითხულის განხილვა-გააზრებით;

ბ[1].გ) ანალიზის უნარის განვითარებით;

ბ[1].დ) მსჯელობის უნარის განვითარებით;

ბ[1].ე) პრეზენტაციის უნარის განვითარებით;

ბ[1].ვ) შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.

ბ[2]) IX- X კლასში სადამრიგებლო საათის ფარგლებში იმუშაოს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების თემატიკაზე.

გ) დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;

დ) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;

ე) რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი.“

ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ზ) გაიგოს მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენის მიზეზი; საკუთარი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების ყოველდღიური აღრიცხვა/შემოწმება და მოსწავლეთა დასწრების შესახებ ინფორმაციის ასახვა სკოლის ოფიციალურ დოკუმენტში;

თ) გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი მასწავლებლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. დახასიათებაში აღწერილი უნდა იყოს მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში; მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნებოდა მოსწავლისათვის;

ი) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ.

კ) ამ გეგმით და სკოლის შინაგანაწესით დადგენილი სხვა ვალდებულებებისა და პროცედურების შესრულება. დამრიგებლის მუშაობა უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ პრინციპებს:

- სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ;
- მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების ამოქმედება და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალება უნდა მისცეს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. დამრიგებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები;
- თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

II. საგანმანათლებლო რესურსები

სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის. სკოლა უზრუნველყოფს არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკის, საკლასო ოთახებში კომპიუტერული ტექნიკითა და უწყვეტი ინტერნეტის და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლა შეიმუშავებს და მოსწავლეებს გააცნოს არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესებს (**დანართი N8, იხილეთ დოკუმენტებში**) .

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:
ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;
ბ) დამხმარე ლიტერატურა;
გ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები;
დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);
ე) ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ.

საგანმანათლებლო რესურსების ხარისხობრივად გაუმჯობესების მიზნით 2025-2026 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს თანამედროვე საგანმანათლებლო ლიტერატურის და დამხმარე მასალების შეძენას და საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტის არსებული ბაზის განახლებას;

2.1. სახელმძღვანელოების ჩამონათვალი

- სკოლის პედაგოგიური საბჭო, სკოლის დამფუძნებლებთან შეთანხმებით, ამტკიცებს სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებულ და საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოთა ნუსხას და დამხმარე საელმძღვანელოების **(დანართი N9)** იმ ნუსხას, რომლებსაც მასწავლებლები რეგულარულად გამოიყენებენ 2025–2026 სასწავლო წლის განმავლობაში. სახელმძღვანელოების გამოყენების წესი რეგულირდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმით. შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო ბიზნეს სკოლაში მოქმედებს არჩევიდან მინიმუმ 6 წლის განმავლობაში.
- ბიზნეს სკოლაში თითოეული კლასის ყველა პარალელში ისწავლება ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი.
- სკოლას არჩეული სახელმძღვანელოების სია გამოკრული აქვს თვალსაჩინო ადგილას სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
- **მასწავლებელს უფლება აქვს, სწავლებისას მხოლოდ დამხმარე/დამატებითი მასალის სახით გამოიყენოს ნებისმიერი სასწავლო მასალა.**

III. ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულიხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად. სკოლა უზრუნველყოფს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების (შემდგომში სსსმ) სასწავლო პროცესში მაქსიმალურ ჩართვას. ასეთი საკითხების კოორდინირებაზე პასუხისმგებელი პირი დგინდება სკოლის გენერალური მენეჯერის გადაწყვეტილებით. იგი უზრუნველყოფს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლებისთვის ადეკვატური პირობების შექმნას.

3.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც, თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით, აქვს სწავლასთან

დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს და საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

ა) ფიზიკური დარღვევა;

ბ) ინტელექტუალური დარღვევა;

გ) სენსორული დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);

დ) მეტყველების დარღვევა;

ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა;

ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;

ზ) სირთულეებით სოციალური ფაქტორების გამო და ამ მიზეზით ვერ სძლევს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

3.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სასკოლო სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. იგი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს ყველა საგანში ან რომელიმე კონკრეტულ საგანში/საგნებში სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.

3. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლოგეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა დაიგეგმოს/განისაზღვროს:

ა) რომელ საგანში/საგნებში საჭიროებს მოსწავლე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებას. შერჩეულ საგნებში განისაზღვრება სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები;

ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს შერჩეულ მიზანს, აქტივობასა თუ მასალას;

გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი და/ან ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების დრო, ადგილი და ხანგრძლივობა;

დ) დამატებით და/ან ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი; სსსმ მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიტარი, ძიძა) საჭიროება;

ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (რომელიც შეიძლება იყოს მშობელიც);

ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი (ავტობუსით მომსახურების საჭიროება, კომპიუტერით სარგებლობის აუცილებლობა, მისთვის საჭირო სასკოლო ავეჯის აუცილებლობა, დასვენების საჭიროება და სხვ.).

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით;

5. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლამ უნდა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლის შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასება. საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლის სიღრმისეული შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლას შეუძლია მიმართოს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი). თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - ისგ ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.

6. ისგ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე მშობელი/მშობლები, სკოლის მენეჯმენტის წევრი/წევრები, ფსიქოლოგი, ლოგოპედი ან სპეციალური მასწავლებელი, თუკი სკოლას ჰყავს ასეთი.

7. ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი. კოორდინატორი წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; ჯგუფის კოორდინატორი მიზანშეწონილია იყოს სსსმ მოსწავლის დამრიგებელი;

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ უნდა ჩატარდეს ისგ ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს;

9. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში;

10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს.

11. ისგ ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის მენეჯმენტს უნდა მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.).

3.3. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

2.სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის საერთო ქულების გამოანგარიშება ხდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.

3. გამონაკლისის შემთხვევაში დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის

სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

4. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთი მის პირად საქმეში, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ამ გეგმის 4.8 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები.

5. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ წლიურ გამოცდას აბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლამ ახდენს საგამოცდო მასალის ადაპტირებას - ქმნის ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამას, რომელიც დაეყრდნობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

3.4. სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ესაჭიროება ხანგძლივი ჰოსპიტალიზაცია, ან ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ დადის სკოლაში, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლის განათლების მიღება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შინსწავლების მეთოდით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება
გაკვეთილებს; სკოლა უდგენს მას სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინს წავლება.

2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს იმ საგნების ჩამონათვალს, რომელიც შინ სწავლებით უნდა დაძლიოს სსსმ მოსწავლემ.

3. შინსწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული სასკოლო სასწავლო გეგმასთან. სკოლა ვალდებულია დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც საგნის და აგრეთვე სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ /ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინსწავლების პროცესის მონიტორინგი.

4. შინ სწავლების პროცესში ჩართული უნდა იყოს სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.

5. დროისა და ფინანსების დაზოგვის მიზნით შინ სწავლების პროცესში შესაძლებელია ინტერნეტისა და ვიდეო კონფერენციების გამოყენება, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, ვიზიტების შუალედში სკოლიდან გაუსვლელად აწარმოოს სსსმ მოსწავლის სახლში მეცადინეობის პროცესზე დაკვირვება, გაუწიოს კონსულტაცია სსსმ მოსწავლესა და მის მშობელს, მეურვეს ან სხვა პირს, რომელიც მოსწავლის სახლში მეცადინეობაზეა პასუხისმგებელი და ა.შ.

6. მინიმალური დატვირთვა სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში:

კლასი	VII-IX	X-XII
მინიმალური (ასტრონომიული) საათებიკვირისმანძილზე	8 სთ	8 სთ

IV. შეფასების სისტემა

4.1. შეფასების მიზნები, პრინციპები და მიდგომები

4.1.1. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.

4.1.2. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი. უნდა შეფასდეს არა მარტო ინფორმაციის ფლობა, არამედ შეძენილი უნარ-ჩვევები, აზროვნების დემონსტრირების ფორმები და სხვა.

4.1.3. შესაძლებელია მოსწავლე შეფასდეს სხვადასხვა ფორმებით (ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვა). მასწავლებელმა უნდა შეაფასოს მოსწავლე დაკვირვების შედეგად დაგროვილი მონაცემების, პრეზენტაციების, ჯგუფური მუშაობებისა და სხვა ტიპის აქტივობების მიხედვით, შეფასებისას აგრეთვე უნდა იქნეს გათვალისწინებული მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის ხარისხი.

4.1.4. აუცილებელია მოსწავლემ წინასწარ იცოდეს, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

4.1.5. დისციპლინური სასჯელის მოტივით, მოსწავლის დაბალი ნიშნით შეფასება არა მართლზომიერია. საგნის ნიშანი გამოხატავს მხოლოდ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას. თუ მოსწავლე გაკვეთილზე არასათანადოდ იქცევა, ეს ავტომატურად იმოქმედებს მის აკადემიურ მოსწრებაზე, რაც შესაბამისად ნიშნავს, რომ მოსწავლის აკადემიური მოსწრება მის შესაძლებლობებთან შედარებით დაბალი იქნება.

4.2. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

4.2.1. სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

4.2.2. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.

4.2.3. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

4.2.4. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა:

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენაეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება

წარმარტების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

4.3. აკადემიური მიღწევის დონეები და ნიშნების წერის სისტემა

4.3.1. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები V(II სემესტრიდან)-XI კლასებში ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით.

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზედაბალი
3	
2	დაბალი
1	

4.3.2. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელი, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, წერს მოკლე, შემაჯამებელი წერილობითი შეფასებას, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

4.3.3. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XI კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის - 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

4.3.4. V-XI კლასებში ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში: სპორტი, ეთიკა და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

4.3.5. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება წლიური ქულის გამოთვლისას.

4.4. საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი კომპონენტები

4.4.1. სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) საშინაო დავალება; ბ) საკლასო დავალება; გ) შემაჯამებელი დავალება.

4.4.2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

4.4.3.სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XI კლასები),

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XI კლასები),

გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XI კლასები).

4.4.4. ამ მუხლის მე-3 პუქტით განსაზღვრულ კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს.

4.4.5. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

4.4.6. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

4.4.7. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XI კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო-საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

4.4.8. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

4.4.9. სკოლის სასწავლო გეგმა V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალებებისა და სემესტრის ბოლოს სასკოლო შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას **(დანართი N 10).**

4.4.10. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება;

4.4.11. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება სემესტრის ბოლომდე. შემაჯამებელი დავალებების

აღდგენა მოხდება წერითი, ზეპირი ან პროექტის მომზადების სახით შესაბამის საგნობრივ კათედრასთან შეთანხმებით;

4.4.12. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

4.5 განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

ა) საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულები – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

ბ) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;

გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ქულაში აისახება ასევე წლიური გამოცდის ქულაც, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით.

4.6. ქულების გამოანგარიშების წესი

4.6.1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული შუალედური ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული (შუალედური) ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

დ) სემესტრის ბოლოს თუ ტარდება სემესტრული კომპლექსური შემაჯამებელი წერა სკოლის მენეჯმენტის მიერ დადგენილ საგნებში. სასკოლო კომპლექსური შემაჯამებელი წერის ქულაც აისახება შესაბამისი საგნის სემესტრულ ქულაზე.

4.6.2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;

ბ)მოსწავლეს რომლის საგნის წლიური (სემესტრული ქულების ჯამი) ქულა საგანში ნაკლებია „5“-ზე, ეძლევა საშემოდგომო:

ბ) საგანში სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდის ქულას გავლენა აქვს საგნის წლიურ ქულაზე და ქულების ჯამი იყოფა სამზე:

გ) მოსწავლეს რომლის სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდის ქულა საგანში ნაკლებია „5“-ზე, ეძლევა საშემოდგომო;

გ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);

დ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემეტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს ამ გეგმის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან, მიმღები სკოლა ვალდებულია შეაფასოს მოსწავლე ახალ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე.

ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).“

4.6.3. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

4.7. კლასისა და საფეხურის დაძლევა

4.7.1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალებით) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა 4.3. მუხლის მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.

4.7.2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V–VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

4.7.3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების გარეშე) არის **5.0** ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების უფლებას.

4.7.4. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების გარეშე) არის **5.0** ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

4.7.5. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის საერთო ქულის გამოთვლისას.

4.8. გაცდენები და შეფასება

4.8.1. მოსწავლის გაცდენები აღირიცხება კლასის ელექტრონულ ჟურნალში, მათ შორის, ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გაცდენები. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება და ასახოს ელექტრონულ ჟურნალში.

4.8.2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

4.8.3. კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.

4.8.4. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

4.8.5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის გენერალური მენეჯერი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

4.8.6. სკოლა ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს.

4.8.7. შინ სწავლების პროცესში გამოიყენება დისტანციური სწავლების (ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების) ფორმა.

4.8.8. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის ინტერნეტით პირდაპირი ეთერით ჩართვას საგაკვეთილო პროცესისა კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა ესტეტიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა).

4.8.9. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.

4.8.10. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

4.9. გამოცდის ტიპები

4.9.1. ბიზნეს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

ა) სემესტრული გამოცდა;

ბ) წლიური (სასწავლო წლის და საფეხურის დამამთავრებელი) გამოცდა;

გ) საშემოდგომო გამოცდა;

დ) ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა;

4.9.2. სემესტრული გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. მოსწავლის მშობელი წერილობით მიმართავს სკოლის მენეჯმენტს. მენეჯმენტი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. ასეთი მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე;

4.9.3. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

4.9.4. წლიური გამოცდის დანიშვნა/არდანიშვნის საკითხს წყვეტს სკოლა.

4.9.5. წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდის დანიშვნის შესახებ ასახული უნდა იყოს სასკოლო სასწავლო გეგმაში.

4.9.6. სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს სამ საგანში.

4.9.7. მე-4, მე-5 დამე-6 პუნქტების გათვალისწინებით საბაზო და საშუალო საფეხურზე 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს დანიშნულ იქნას სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდები შემდეგ საგნებში:

მე-7 კლასში - ქართული ენა, მათემატიკა, ინგლისური ენა;

მე-8 კლასში - ქართული ენა, მათემატიკა; ინგლისური ენა;

მე-9 კლასში - ქართული ენა, მათემატიკა; ინგლისური ენა;

მე-10 კლასში - ქართული ენა,ფიზიკა, ქიმია;

მე-11 კლასში - საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია;

(დანართი 11)

4.9.8. სკოლა ვალდებულია გამოცდაზე შემაჯამებელი დავალების მსგავსი კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები შესთავაზოს მოსწავლეებს. დაუშვებელია წლიურ გამოცდაზე არჩევითპასუხიანი ტესტების შეთავაზება.

4.9.9. <u>**საშემოდგომო გამოცდა**</u> ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს რომელიმე საგანში წლიური ქულა აქვს 5-ზე ნაკლები..

4.9.10. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით. საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს წერილობითი, ზეპირი ან პროექტის დაცვით სკოლის შესაბამოს საგნობრივ კათედრასთან შეთანხმებით სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა (2026 წლის 30 ივნისიდან 5 ივლისამდე) და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე 2026 წლის 1 სექტემბრიდან 7 სექტემბრამდე). (სკოლა წერილობით აცნობებს მშობელს მისი შვილს რომელ საგანში და როდის დაენიშნა საშემოდგომო გამოცდა).

4.9.11. საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისათვის. სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეებს იმ

საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნათ აღნიშნული ტიპის გამოცდა; (სასწავლო წლის ბოლოს სკოლა აქვეყნებს საშემოდგომო გამოცდებისა და კონსულტაციების გრაფიკს).

4.9.12. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა).

